ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

გიორგი კაპანაძე
Giorgi Kapanadze

რელიგიური შემეცნების სპეციფიკა
და მისი ფილოსოფიური საზრისი

Specificity of Religious Knowledge and its Philosophical Meaning

საგანმანათლებლო პროგრამა: ქრისტიანული ფილოსოფია
Educational program: Christian Philosophy

ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

ავტორეფერატი
Abstract

ფოთი 2023 Poti

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **თენგიზ ირემაძე,**
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.ngu.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერ-ტაციო კომისიის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ახალი საქართველოს უნივერსი-ტეტის ბიბლიოთეკაში (ქ. ფოთი, გურიის ქუჩა № 1).

სარჩევი

საკვლევი პრობლემატიკა და მისი აქტუალობა 4

კვლევის მიზანი 6

კვლევის ამოცანები 7

კვლევის ჰიპოთეზა 8

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 9

მეთოდოლოგია 11

კვლევის შედეგების აღწერა 12

ნაშრომის მეცნიერული სიახლე 14

დასკვნა 15

საკვლევი პრობლემატიკა და მისი აქტუალობა

რელიგია ყოველთვის წარმოადგენდა სოციალური ცხოვრებისა და პიროვნული გამოცდილების მნიშვნელოვან ელემენტს. მიუხედავად ისტორიული და კულტურული განსხვავებებისა, ყველა ტიპის საზოგადოებაში ვხვდებით რწმენებს, რომლებიც ზებუნებრივ, სულიერ და ტრანსცენდენტურ მოვლენებთან ასოცირდებიან, პრაქტიკებს, რომლებიც მსხვერპლშეწირვის, ლოცვისა თუ ზეიმის ელემენტებს შეიცავენ, ადგილებს, რომლებიც ინდივიდებში საკრალურობის, უცხოობისა და სიწმინდის ემოციებს იწვევენ, ნარატივებს, რომლებიც დაშორებულ, მნიშვნელოვან და მისტიკურ ამბებს მოგვითხრობენ. ისტორიულად თუ ვიმსჯელებთ, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები საზოგადოებების მსოფლმხედველობრივ სისტემებს აფუძნებდნენ, კოლექტიური ცხოვრების წესს განსაზღვრავდნენ და ინდივიდებს სულიერ ორიენტირებს აძლევდნენ. თავის მხრივ, რელიგიური იდეები ოდითგანვე წარმოადგენდნენ ფილოსოფიური გააზრების საგანს; რელიგიის ფილოსოფიის აქტუალობაც იმ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, რომლის მიზანიც, ერთი მხრივ, რელიგიურ რწმენათა ჯეროვანი გააზრება, ხოლო, მეორე მხრივ, მათი სანდოობის დადგენაა.

პრობლემის სირთულიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ რელიგიის ფილოსოფიის ისტორიაში მრავალი განსხვავებული ჰიპოთეზა წარმოიშვა და მრავალი ურთიერთდაპირის-პირებული თეორია ჩამოყალიბდა. თეორიათა ერთი ნაწილი რელიგიას მარადიული ჭეშმარიტების მანიფესტაციად მიიჩნევს და შემოქმედის რწმენას რაციონალური არგუმენტებით ამყარებს; თეორიათა მეორე ნაწილი რელიგიური რწმენებისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი და ამტკიცებს, რომ რელიგიური მოძღვრებების მტკიცებით ფორმაში გამოთქმა უადგილოა, ვინაიდან ისინი წარმოდგენათა საუფლოს უფრო განასახიერებენ, ვიდრე ცოდნისა. არსებობენ უფრო რადიკალური მიდგომებიც: თეორიათა მესამე ნაწილის მტკიცებით, რელიგია ადამიანის მენტალური განვითარების ადრეული საფეხურია, ხოლო მის მიერ შემოთავაზებული იდეები მხოლოდ წარმოსახვისა და განცდების საუფლოს მიეკუთვნება და არა ჭეშმარიტების.

ახალი დროის მოაზროვნეთა არცთუ ისე მცირე ნაწილს მიაჩნდა, რომ საზოგადოების რაციონალიზაციისა და მეცნიერული ცოდნის აღმასვლის პარალელურად რელიგიები ავტომატურად დაკარგავდნენ

საკუთარ ფუნქციას, და რომ კაცობრიობის რაციონალური განვითარება ბუნებრივად გამოიწვევდა რელიგიის დასასრულსა და „ღმერთის სიკვდილს“. თუმცა, ისტორიამ აღნიშნული ჰიპოთეზის სიმცდარე დაამტკიცა. ფაქტია, რომ თანამედროვე ადამიანისთვის რელიგიას არ დაუკარგავს აქტუალობა. განსხვავებულ რელიგიურ იდეებსა თუ დოქტრინებს პიროვნულ და კოლექტიურ ცხოვრებაში კვლავაც უკავია მნიშვნელოვანი ადგილი; ამის შედეგად, ისინი იდეათა სფეროში საკუთარ სპეციფიკას ქმნიან. თანამედროვეობა გვიჩვენებს, რომ კაცობრიობის რელიგიურ ისტორიაში არა მხოლოდ რწმენების შესუსტებისა და გაუჩინარების შემთხვევებთან გვაქვს საქმე, არამედ არარელიგიური საზოგადოებებისა და ინდივიდების რელიგიურ ტრანსფორმაციასთანაც.

თანამედროვე სამყაროში განსხვავებული რელიგიები ინდივიდებს საბოლოო ჭეშმარიტებასა და უზენაეს ბედნიერებასთან ზიარებას სთავაზობენ, მორალური ორიენტირებისა და სულიერი ღირებულებების თანახმად ცხოვრებას განუსაზღვრავენ. უფრო მეტიც, რელიგიები ადამიანს არა მხოლოდ ამქვეყნიურ სიკეთეებს აღუთქვამენ, არამედ მარადიული სიცოცხლისა და ზეციური ნეტარების იმედითაც განმსჭვალავენ. თუმცა, ღია რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სანდოა რელიგიათა მიერ შემოთავაზებული რწმენები, რამდენად ჯეროვნად ასახავენ ადამიანთა რელიგიური წარმოდგენები რეალობას. ავად თუ კარგად, აღნიშნული რთული პრობლემის გადაწყვეტას რელიგიის ფილოსოფია ისახავს მიზნად. რაციონალური მეთოდების გამოყენებით ფილოსოფიამ შესაძლოა და უნდა მოგვცეს კიდეც ზოგადი ორიენტირი; გვიჩვენოს, თუ რამდენად მართებულნი არიან რელიგიური რწმენები, რამდენად მდგრადნი არიან რაციონალურ მიდგომის შემთხვევაში და რამდენად ღირებულია რელიგიაში პირადი ბედნიერებისა თუ კოლექტიური მიზნების ძიება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიის ფილოსოფია, როგორც რაციონალური ძალისხმევა, ცდილობს განსხვავებულ რწმენა-წარმოდგენათა არსს ჩასწვდეს, მათი სისწორე გაიაზროს, შედეგად კი ადამიანებს გააზრებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს.

უფრო მეტიც, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ დღეს რელიგიის ფილოსოფიის აქტუალობა კიდევ უფრო მეტად გაზრდილია, ვიდრე ორი ან სამი საუკუნის წინ. პიროვნებათა არამდგრად რელიგიურ იდენტობას, ერთი საზოგადოების წიაღში არსებულ თე-

ორიულ და პრაქტიკულ უთანხმოებებს, ისევე, როგორც რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ პოლიტიკურ-კულტურულ კონფლიქტებს თანამედროვე სამყაროს ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით, რაც, ბუნებრივია, წინდახედულ ანალიზსა და გონივრულ არჩევანს მოითხოვს. სადოქტორო კვლევის აქტუალობას სწორედ რომ აღნიშნული პრობლემები და პირობები განაპირობებენ. რელიგიის ეპისტემოლოგიური საფუძვლებისა და მეთოდოლოგიური წიაღსვლების კვლევა საშუალებას მოგვცემს, რომ უკეთ ჩავწვდეთ კაცობრიობის რელიგიური გამოცდილების ბუნებას, უკეთ გავიაზროთ მისი ღირებულება და ფუნქცია ადამიანთა ცხოვრებაში.

ახალი დროიდან მოყოლებული, ფილოსოფია ყოველთვის იყო თავისუფალი აზროვნების მედროშე, აქტივობა, რომელიც მხოლოდ გონების ავტორიტეტს სცნობს და რომელზეც პოლიტიკური ძალაუფლებით ზეწოლა თუ რელიგიური დოგმების თავს მოხვევა შეუძლებელია. მეორე მხრივ, ფილოსოფიას ხშირ შემთხვევაში ჰქონდა რელიგიური სწავლებების ჯეროვნად გააზრების პრობლემა. ამის მიზეზი ისაა, რომ ხშირად მოაზროვნეები მხოლოდ რელიგიის გარეგნულ და სოციალურ გამოხატულებაზე იყვნენ ორიენტირებული და არც თუ ისე კარგად იცნობდნენ მის საფუძველმდებარე პრინციპებს. რელიგიის ფილოსოფიაში შექმნილი თეორიების მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა ის არის, რომ ფილოსოფიური თეორიები რელიგიურ იდეათა უკან ერთ ან რამდენიმე პრინციპს მოიაზრებენ და, ხშირ შემთხვევაში, ვერ აცნობიერებენ რელიგიის კომპლექსურ ბუნებას, ისევე როგორც განსხვავებულ რელიგიათა განმსაზღვრელ განსხვავებულ მოტივებს. აღნიშნული მიდგომისგან განსხვავებით, წინამდებარე კვლევის მიზანია გამოააშკარაოს ის ეპისტემოლოგიური საკითხები, რომლებიც რელიგიათა უკან დგანან და აღწეროს ის პროცესები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები რელიგიური ცოდნის სისტემებს ქმნიან.

კვლევის მიზანი

სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს გამოკვლევას რელიგიის ფილოსოფიაში და მიზნად ისახავს რელიგიური შემეცნებისა და გამოცდილების საფუძვლების ცხადყოფას. უფრო კონკრეტულად, აქ შევეცდებით დავადგინოთ, თუ რა მიზეზით წარმოიშობა და როგორ ფორმირდება რელიგიური იდეები, კონცეფციები და დოგმები;

როგორი ბუნებისანი არიან კაცობრიობის რელიგიური შემეცნების წყაროები და გზები? აღნიშნული საკითხი კითხვათა მთელ სპექტრს მოიცავს: რა განსაზღვრავს ადამიანის რელიგიურობას, ბუნებრივი მიდრეკილებები თუ სოციალიზაციის პროცესი? საიდან წარმოიშვნენ რელიგიური მოძღვრებები და რა ფუნქცია აქვთ მათ ადამიანთა ცხოვრებაში? რა ადგილი აქვს რელიგიას, როგორც მსახურებისა და რწმენების სისტემას, კულტურულ აქტივობათა შორის? არის თუ არა რელიგია ერთი, უნივერსალური მოვლენა, რომელიც საკუთარი არსის გამოხატვას სხვადასხვა, მრავალფეროვანი საშუალებებითა და ფორმებით ახდენს, თუ რელიგიები მრავალი, დამოუკიდებელი რწმენებისა და პრაქტიკების სისტემებია, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად ენათესავებიან ერთმანეთს?

ამავდროულად, კვლევას მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი აქვს. მას შემდეგ, რაც რელიგიური შემეცნების წესს ცხადვყოფთ, აუცილებელია დავადგინოთ მისი ფილოსოფიური საზრისი. იმ შემთხვევაში, თუ რელიგიას გავიგებთ როგორც პიროვნულ და საზოგადო რწმენათა და პრაქტიკათა სისტემას, რომელიც ყველა საზოგადოების ნაწილია, რელიგიის ფილოსოფია განსაზღვრულ უნდა იქნეს როგორც რელიგიურ რწმენა-პრაქტიკათა გააზრება-შეფასების მცდელობა. მისი მიზანი რელიგიური დოქტრინების ანალიზი, კრიტიკული შეფასება და იმის დადგენაა, თუ რა მიმართებაში არიან ისინი რაციონალურ კრიტიკასთან და რამდენად იმსახურებენ ცოდნის სტატუსს; თუ რა დოზით შეიცავენ რელიგიური დოქტრინები ჭეშმარიტებას ან როგორი კავშირი აქვთ მასთან. უფრო კონკრეტულად, რელიგიის ფილოსოფიის მიზანია პასუხების გაცემა შემდეგ კითხებზე: რელიგია მხოლოდ ადამიანური წარმოსახვის ნაყოფია თუ რეალობას ასახავს? ის მხოლოდ ემოციურ ფაქტორებს და კოლექტიურ რწმენებს გამოხატავს თუ მარადიული ჭეშმარიტების შესახებ მოგვითხრობს? რელიგიები ჭეშმარიტებას ასახავენ თუ რწმენათა სისტემები ჭეშმარიტებისა და სიმცდარის კატეგორიათა მიღმა არიან?

კვლევის ამოცანები

ფილოსოფიური პერსპექტივიდან რელიგია შეიძლება გავიგოთ როგორც თანმიმდევრულ ან ურთიერთწინააღმდეგობრივ რწმენა-პრაქტიკათა სისტემა, რომელიც მტკიცებით ფორმაში აკეთებს განცხად-

ებებს სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ინდივიდებს რეალობის კონკრეტული წესით აღქმასა და გააზრებას სთავაზობს. ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე რელიგიის შესახებ შექმნილი მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურის დიდი ნაწილი რელიგიას კონკრეტული კუთხით წარმოგვიჩენს და, როგორც წესი, რაციონალური კვლევაც იმის მიხედვით წარიმართება, რელიგიის რომელ გამოვლინებაზე არის ორიენტირებული მკვლევარი. ფილოსოფიურ შრომათა ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს რელიგიის ეთიკურ-მორალურ გამოვლინებაზე და, ამის შესაბამისად, რელიგიის მთავარ ფუნქციას რეგულაციებისა და შეზღუდვების სისტემის ფორმირებასთან აიგივებს; ფილოსოფიურ თეორიათა მეორე ნაწილი რელიგიის სოციალურ გამოვლინებაზე არის ორიენტირებული და ინდივიდუალური რწმენის მთავარ მოტივს სოციალურ ადაპტაციასა და კოლექტიურ იდენტობასთან აიგივებს. მორალურ და სოციალურ იდენტობაზე ორიენტირებული კვლევებისგან განსხვავებით, ფილოსოფიურ კვლევათა მესამე ნაწილი რელიგიის საფუძვლებს ადამიანის უნივერსალურ ბუნებასა და მიდრეკილებებში ეძებს. კვლევათა კიდევ ერთი ნაწილი კი რელიგიის მეტაფიზიკურ განზომილებაზე აკეთებს აქცენტს და მას ზებუნებრივი ცოდნის კატეგორიად წარმოაჩენს, ან კიდევ ცრურწმენათა სისტემასთან აიგივებს. ზემოაღნიშნული მიდგომებისაგან განსხვავებით, წინამდებარე კვლევის მიზანი რელიგიის ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული ანალიზია, უფრო კონკრეტულად კი კვლევის მთავარი ამოცანა რელიგიაში არსებული ეპისტემოლოგიური საკითხების ცხადყოფა და მეთოდოლოგიური წიაღსვლების დადგენაა. აღნიშნული საკითხებისა და პრობლემების გამოკვეთა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, თუ რა ტიპის ცოდნასთან გვაქვს საქმე რელიგიის შემთხვევაში, რათა ამის შედეგად მისი ჭეშმარიტება-სიმცდარის საკითხის დადგენა მოვახდინოთ.

კვლევის ჰიპოთეზა

კვლევაში წარმოდგენილი ჰიპოთეზის თანახმად, რელიგია კომპლექსურ და იდეალისტურ რწმენათა სისტემაა, რომელსაც, ერთი მხრივ, უნივერსალური ბუნება აქვს, მეორე მხრივ კი კერძო კულტურების წიაღში რეალიზდება. რელიგიურ კონცეფციათა შექმნა, პირველ რიგში, ჩვენს მიღმა არსებული რეალობის კონკრეტული გზით

განცდისა და გააზრების შედეგს წარმოადგენს. სამყაროს არსებობა დამაინტრიგებელი ფაქტია და ის კაცობრიობას მუდმივი ძიებისკენ უბიძგებს. ადამიანი, როგორც საზრისისა და ბედნიერების მაძიებელი ცოცხალი არსება, კომპლექსური არსებაა და რელიგიებიც ბუნებრივად ასახავენ ამ კომპლექსურობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგია კულტურისა და კაცობრიობის ისტორიული განვითარების იმ მნიშვნელოვან ელემენტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საკუთარ თავში მრავალ განსხვავებულ რწმენა-პრაქტიკათა სისტემებს აერთიანებს. კაცობრიობის ზოგადი და კონკრეტული კულტურების კერძო რელიგიური გამოცდილება ადამიანის ცხოვრების ორგანულ და შემოქმედებით ნაწილს წარმოადგენს და არა წინასწარ გაწერილ რწმენათა მწკრივის გადაცემას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურის მოცულობიდან და ხასიათიდან გამომდინარე, აქ წარმოდგენილი გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა სამი ძირითადი მიმართულებითაა განხორციელებული. პირველ ნაწილს წარმოადგენს აზროვნების ის მიმართულება, რომელიც რელიგიას მცდარ წარმოდგენათა სისტემასთან აიგივებს და ჭეშმარიტებისა და ბედნიერების შესახებ რელიგიური კონცეფციების რაციონალური თუ მეცნიერული ალტერნატივებით ჩანაცვლებას გთავაზობს. რელიგიის ამგვარი კრიტიკის თანახმად, რწმენები ადამიანთა წარმოსახვის ნაყოფს წარმოადგენენ და რეალობის მცდარ სურათს ხატავენ. მსგავსი ტიპის კრიტიკის მომხრეთა მტკიცებით, უფრო დიდი ტრაგედია ის არის, რომ რელიგიები არასასურველ მორალურ ორიენტირებს გვაძლევენ და არასასურველი ეთიკური ცხოვრებისკენ გვიბიძგებენ. რელიგიის კრიტიკის ნაწილში გამოკვლეულია ისეთი კლასიკური და თანამედროვე ნაშრომები, როგორებიცაა: თომას ჰობსის „ლევიათანი“, ბარუხ სპინოზას „თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი“, ლუდვიგ ფოიერბახის „ქრისტიანობის არსი“, რიჩარდ დოკინსის „ღმერთის დელუზია“, პასკალ ბოიერის „რელიგია აიხსნა“ და რელიგიის გარშემო შექმნილი სხვა ფილოსოფიური და სამეცნიერო ლიტერატურა.

აღნიშნული მიდგომისაგან განსხვავებით, მეორე მიმართულებას წარმოადგენს იმ ფილოსოფოსთა და მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რელიგია, მიუხედავად მისი სტილისტური და სააზ-

როვნო ფორმებისა, მარადიული და უზენაესი ჭეშმარიტების შესახებ მოგვითხრობს და, შესაბამისად, წარუვალ ბედნიერებასაც გვაზიარებს. მოაზროვნეთა ამავე ნაწილი მიიჩნევს, რომ რელიგია ჭეშმარიტების გამოხატვის ერთ-ერთი მედიუმია და რომ მის გარდა შემოქმედამდე მისასვლელად სხვა ისეთი გზებიც არსებობენ, როგორიც მეცნიერება და ფილოსოფიაა. აღნიშნული მიმართულების შემთხვევაში ნაშრომში განხილულია შემდეგი სკოლები და ავტორები: პლატონისა და არისტოტელეს იდეალიზმი, ნეტარი ავგუსტინესა და თომა აქვინელის ქრისტიანული თეიზმი, მოსე მაიმონიდისა და ავეროესის მიერ შემოთავაზებული „ორმაგი ჭეშმარიტების“ თეორია, იან ბარბურის და ჯონ პოლკინგჰორნის მიერ განვითარებული პროცესუალური თეიზმი.

რაც შეეხება ლიტერატურის მესამე ნაწილს, ამ შემთხვევაში კვლევის ფოკუსში ავტორთა და ნაშრომთა ის ჯგუფი მოხვდა, რომელიც აქცენტს რელიგიის არარაციონალურ, „სულიერ“ ბუნებაზე ამახვილებს. აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნაშრომი „საღვთოთა სახელთათვის”, ბლეზ პასკალის „აზრები“, ფრიდრიხ შლაიერმახერის „რელიგიის შესახებ“, უილიამ ჯეიმსის „რწმენის ნება“, მირჩა ელიადეს „საკრალური და პროფანული: რელიგიის ბუნება“, კარენ არმსტრონგის „არგუმენტი ღმერთის სასარგებლოდ“ და სხვა.

ამასთანავე, კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი და განხილულია საკვლევი პრობლემატიკის გარშემო შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა, შრომები, რომელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ: ჩარლზ ტალიაფეროს „რელიგიის თანამედროვე ფილოსოფია“ და კეიტ იანდელის „რელიგიის ფილოსოფია, თანამედროვე შესავალი“; გარდა ამისა, ნაშრომში წარმოჩენილია სხვადასხვა სამეცნიერო კრებულები და ანთოლოგიები; მაგალითად: ფილიპ ქუინისა და ჩარლზ ტალიაფეროს რედაქტორობით გამოცემული ნაშრომი „რელიგიის ფილოსოფიის გზამკვლევი“, უილიამ უენრაიტის მიერ შედგენილი კრებული „ოქსფორდის სახელმძღვანელო რელიგიის ფილოსოფიაში“ და სხვა.

რელიგიის ფილოსოფიის ისტორიაში შექმნილი კლასიკური და თანამედროვე შრომები რელიგიის მნიშვნელოვან ასპექტებსა და განზომილებებს ააშკარავებენ. თუმცა, აღნიშნულ თეორიათა სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად ისინი რედუქციონისტურ მიდგომას გვთავაზობენ, შედეგად კი ვერ ასახავენ რელიგიის კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვან ხასიათს, ისევე როგორც

განსხვავებული რელიგიური გამოცდილებების გამომწვევ ემოციურ, რაციონალურ თუ პიროვნულ ფაქტორებს. ნაშრომში წარმოდგენილი და გაკრიტიკებულია რედუქციონიზმის ორი სახეობა, დისციპლინარული და კულტურული რედუქციონიზმი. პირველი რელიგიის მთლიანი სისტემის ახსნა-განმარტებას ერთი სამეცნიერო დისციპლინისა და რელიგიის ერთი კონკრეტული შემადგენელი ელემენტის საფუძველზე ცდილობს. რედუქციონიზმის მეორე სახეობა ერთი კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის რწმენებისა და წარმოდგენების განზოგადებას ახდენს და მსგავსი განზოგადების საფუძველზე რელიგიის ზოგად ბუნებას ხსნის.

მეთოდოლოგია

საკვლევ თემაში წამოჭრილი პრობლემატიკის, დასახული მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, კვლევის მეთოდოლოგიად განსხვავებული რელიგიური ტრადიციების შედარებითი ანალიზი და მათში არსებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხების ცხადყოფა/მიმოხილვა განისაზღვრა. კომპარატივისტული და ტექსტუალური მეთოდები აქ წარმოდგენილია როგორც რელიგიის შესწავლის მნიშვნელოვანი გზა. კერძოდ, კვლევა ფოკუსირებულია ექვს რელიგიაში - ინდუიზმში, ბუდიზმში, დაოიზმში, იუდაიზმში, ქრისტიანობაში და ისლამში - არსებული ეპისტემოლოგიური საკითხების ანალიზზე. აღნიშნულ ეპისტემოლოგიურ საკითხებს წარმოადგენენ: მითოლოგია, მეტაფიზიკა, ნატურფილოსოფია, მორალი, ბედნიერება და უკვდავება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ მეთოდოლოგიურ არსენალზე, რომელიც რელიგიური ცოდნის შეძენის წესს ცხადყოფს. თუმცა, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი რელიგიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ყველა კონკრეტული რელიგიის წიაღში წავაწყდებით მნიშვნელოვან განსხვავებებსა და უთანხმოებებს. არ არსებობს ინდუიზმი, ბუდიზმი თუ ქრისტიანობა, როგორც ასეთი; არსებობენ ინდუისტური, ბუდისტური, და ქრისტიანული რელიგიები და მათი მრავალფეროვანი ტრადიციები, რომლებიც რელიგიური იდეების თავისუფალ ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ.

ამავდროულად, ვერ გავექცევით ვერც იმ ფაქტს, რომ ყველა ტიპის კვლევა, რომელიც ზოგადად რელიგიაზეა ფოკუსირებული და არა ერთ

კონკრეტულ ტრადიციაზე, ფარდობითად სელექციურია და ჯეროვნად ვერ ასახავს რელიგიათა მრავალფეროვან და კომპლექსურ შინაარსს. მეორე მხრივ, რელიგიათა კომპლექსურმა და მრავალფეროვანმა თემატიკამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმაში, რომ განსხვავებულ რელიგიებს შორის არსებული საზიარო ელემენტები დავაკავშიროთ და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიკაცია მოვახდინოთ. კვლევის მეთოდოლოგიურ ორიენტირად საკრალური ლიტერატურის ანალიზი იქნა აღებული. მიგვაჩნია, რომ ეს რელიგიის კვლევის საუკეთესო გზაა იმდენად, რამდენადაც წმინდა წერილები რელიგიების საფუძველმდებარე დოკუმენტებს წარმოადგენენ და, უმეტესწილად, რწმენათა და პრაქტიკათა სისტემების ფუნდამენტებად გვევლინებიან. განსხვავებული ტრადიციები შესაძლოა განსხვავებულ საკრალურ ლიტერატურას ეფუძნებოდნენ, ან დაპირისპირებული ტრადიციები ერთი საკრალური ლიტერატურის განსხვავებულ ინტერპრეტაციასა და კითხვას გვთავაზობდნენ. წინამდებარე კვლევის პირობებში შემდეგი სახის საკრალური ლიტერატურა შეირჩა: ინდუიზმის შემთხვევაში ფოკუსირება მოხდა „უპანიშადებზე“, როგორც ინდუისტურ რელიგიურ-ფილოსოფიურ ტექსტზე. ბუდიზმის შემთხვევაში ძირითადი აქცენტი იმ ნაშრომებზე გაკეთდა, რომლებიც ბუდას ცხოვრებასა და სწავლებებზე მოგვითხრობენ, კერძოდ: „ბუდაკარიტასა“ და „დჰამაპადაზე“. დაოიზმის შემთხვევაში კვლევა დაეფუძნა ფილოსოფიურ-რელიგიურ ტრაქტატს - „დაო დე ძინი“. იუდაიზმის შემთხვევაში შესწავლილ იქნება თორას ხუთწიგნეული, ისევე, როგორც შემდგომ წინასწარმეტყველთა შრომები და ამავე ტრადიციაში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური ლიტერატურა. ქრისტიანული რელიგიის შემთხვევაში არჩევანი ახალი აღთქმის წიგნებზე შეჩერდა, რომლებიც ქრისტეს მოძღვრებებისა და შემდგომ უკვე მისი მოციქულების სწავლებებისგან შედგება. დაბოლოს, ისლამის შემთხვევაში კვლევის ობიექტს ყურანი წარმოადგენს.

კვლევის შედეგების აღწერა

განსხვავებული რელიგიური ტრადიციებისა და საკრალური ტექსტების შესწავლის საფუძველზე სადოქტორო კვლევა აჩვენებს, რომ რელიგიის წარმომავლობის მოტივი არ შეიძლება გავაიგივოთ ერთ კონკრეტულ ემოციასთან თუ ადამიანის უმეცრებასთან, როგორც ამას

რელიგიის კრიტიკოსთა შრომებში ვხედავთ, არც თეორიულ და რაციონალურ სპეკულაციებთან, როგორც ამას რელიგიის რაციონალიზაციის მომხრეთა ნაწილი გვთავაზობს და არც მხოლოდ სულიერ შემეცნებასთან, როგორც ამას რელიგიის დერაციონალიზაციის მომხრე მოაზროვნეები წარმოგვიდგენენ. რელიგიები ბუნებრივად ასახავენ ადამიანური სამყაროსთვის დამახასიათებელ პრობლემებსა და მოლოდინებს, იმედებსა და შიშებს, გამოცდილებასა და ემოციებს და მათ შემთხვევაში ყველა ტიპის მენტალური პროცესები - წარმოსახვა, აზროვნება, განცდა, ძიება თუ სხვა - ერთმანეთის პარალელურად ან დამოუკიდებლად მიმდინარეობენ.

სადოქტორო კვლევის თანახმად, უმჯობესი იქნება, თუ რელიგიებს გავიგებთ როგორც მონათესავე და, ამავდროულად, განსხვავებულ რწმენა-წარმოდგენათა იდეალისტურ სისტემებს, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანთა გარკვეულ რეაქციას რეალობაზე, და, ამავდროულად, ადამიანური ყოფიერების კონტექსტს, მიზანსა და მიზეზს ხსნიან. უნივერსალური კუთხით თუ ვიმსჯელებთ, რელიგიებში საერთო პრობლემატიკა და იდენტური მიზნები არსებობენ. ეს პრობლემები და მიზნები კაცობრიობის არსებობის საზიარო ელემენტებით და ზოგადად ადამიანური ბუნების იდენტური შიგთავსით შეიძლება ავხსნათ. მეორე მხრივ, ადამიანის უნივერსალური რელიგიური მიდრეკილებები საკუთარი თავის განამდვილებას განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში და გეოგრაფიულ სივრცეში ახდენენ, შედეგად კი ქმნიან განსხვავებულ ტრადიციებს, რომელთა მიღმაც განსხვავებული მოტივები, ემოციები, გამოცდილებები და იდეები შეიძლება ამოვიკითხოთ. კვლევა გვთავაზობს, რომ დისციპლინარული და კულტურული რედუქციონიზმი რელიგიის კვლევის ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მოდელით ჩავანაცვლოთ. აღნიშნული მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ის, ერთი მხრივ, თავიდან აგვაცილებს იმ ტიპის ფილოსოფიურ და მეცნიერულ მიდგომებს, რომლებიც რელიგიურ იდეათა ზედმეტად განზოგადების გამო ჯეროვნად ვერ ხსნიან განსხვავებულ რელიგიათა კომპლექსურ ბუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, გვაჩვენებენ, რომ კონკრეტულ ტრადიციებზე ორიენტირებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს განსხვავებულ რელიგიათა მიღმა ადამიანისათვის დამახასიათებელი უნივერსალური საჭიროებების, გამოცდილებების და მისწრაფებების ძიებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მოდელის სიახლე მდგომარეობს იმაში,

რომ აღნიშნული მოდელი გამოკვეთს რელიგიის უნივერსალურ მახასიათებლებს კონკრეტულ ტრადიციათა კვლევის საფუძველზე, ამავდროულად კი რელიგიის კომპლექსურ და მრავალფეროვან ხასიათს გვაჩვენებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

განსხვავებულ რელიგიურ ტრადიციებში არსებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზი რელიგიებს წარმოგვიჩენენ როგორც მონათესავე და განსხვავებულ იდეალისტურ რწმენა-წარმოდგენებს. რელიგიური სისტემები ადამიანთა ზოგადი პრაქტიკული და თეორიული ინტერესებით არიან განსაზღვრულნი და, ამავდროულად, კულტურისა და ისტორიის წიაღში პოვებენ ხორცშესხმას. მართალია, რომ ადამიანთა შორის არსებობენ აზროვნებისა და რწმენის ზოგადი იდეალისტური ტენდენციები, თუმცა, არ არსებობს რელიგია, როგორც ასეთი. ნაშრომის ერთ-ერთი სამეცნიერო სიახლე ის არის, რომ ის ხელახლა წარმოაჩენს რელიგიის უნივერსალურ და კერძო განზომილებებს, ამაზე დაყრდნობით კი რელიგიურობის გასაღებს ადამიანის მენტალურ მრავალფეროვნებაში, ინტერესებში, შემოქმედებით ბუნებაში, კულტურაში, ინდივიდუალიზმსა და ისტორიაში ეძებს. ამავდროულად, სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ რელიგიის კრიტიკოსებისა და რაციონალური თუ სულიერი არგუმენტებით დამცველებისგან განსხვავებით, სადოქტორო ნაშრომი რელიგიას წარმოაჩენს როგორც კომპლექსურ, ცვალებად და დინამიკურ რწმენათა სისტემას, რომელსაც არ გააჩნია ფიქსირებული არსი. ფილოსოფიამ და მეცნიერებამ აუცილებელია გაითვალისწინოს რელიგიის კომპლექსური, მრავალფეროვანი და დინამიკური ხასიათი და მისი შეფასების დროს სწორედ რომ აღნიშნული მრავალფეროვნებით იხელმძღვანელოს. რელიგიური გამოცდილება კაცობრიობის სულიერი მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენს და მისი ჯეროვანი გაფრთხილება ისევეა საჭირო, როგორც სხვა კულტურული არტეფაქტების, ლიტერატურული ნიმუშების, ფერწერული ტილოებისა თუ არქიტექტურული ძეგლების მოვლა-პატრონობა. ყოველივე ეს ჩვენი, როგორც კულტურული არსებების მოვალეობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, *გვწამს თუ არა*, რელიგიათა შენარჩუნება აუცილებელია იმისათვის, რომ ჯეროვნად გავიაზროთ კაცობრიობის სულიერი ბუნება და მემკვი-

დრეობა, ისევე როგორც ის ისტორიული პროცესები, რომლებიც თანამედროვეობის რელიგიურ თუ არარელიგიურ იდენტობას განსაზღვრავენ.

დასკვნა

კვლევის თანახმად, რელიგია არა მარტო კაცობრიობის ისტორიის შემადგენელი ნაწილია, რომლის შენარჩუნება უნდა მოხდეს, არამედ ის თანამედროვე საზოგადოებათა და პიროვნებათა ცხოვრებისა და გამოცდილების ორგანული ნაწილიცაა. სამყაროს არსებობის ფაქტი ადამიანებში ყოველთვის გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებდა; ადამიანები მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხებს საუკუნეთა წინაც ეძებდნენ და დღესაც ეძებენ; ინდივიდები ბედნიერებას დღესაც ისე ესწრაფვიან, როგორც უწინ. განსხვავებული ცოდნის სისტემები, ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ჭეშმარიტებისა და ბედნიერების კონცეფციებს გვთავაზობენ. რელიგია ადამიანთა მიერ შექმნილი ცოდნის ერთგვარი სისტემა და შემეცნების სუბიექტური ტიპია, რომელიც შემოწმებისა და ობიექტურობის დაბალი ხარისხით გამოირჩევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ განსხვავებული რელიგიები კონკრეტული ტიპის ინდივიდებისთვის არის მიმზიდველი და არა ყველასათვის; შესაბამისად, განსხვავებული იდეები, რწმენები და პრაქტიკები სუბიექტურ გამოცდილებას საჭიროებენ. თუმცა, მიმზიდველობა და ჭეშმარიტება ორი სხვადასხვა რამაა. ჩვენ, როგორც რელიგიურმა არსებებმა, შეგვიძლია ვირწმუნოთ ყველაფერი ის, რაც ჩვენი გონებისთვის აღქმადი და ჩვენი წარმოსახვისთვის საწვდომია, ხოლო როგორც რაციონალური არსებები ვერასოდეს ვიქნებით აბსოლუტურად დარწმუნებულნი, თუ რამდენად სწორად ასახავენ ჩვენი რელიგიური განცდები და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული სისტემები რეალობას. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ის არის, რომ დავინახოთ რელიგია როგორც ადამიანური გამოცდილებისა და კულტურის შემადგენელი ნაწილი, ხოლო შემდგომ განსხვავებულ რელიგიურ იდეათა და პრაქტიკათა განცდა ყოველგვარი იდეოლოგიზებისა და ურთიერთდაპირისპირების გარეშე ვცადოთ.

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

Giorgi Kapanadze

Specificity of Religious Knowledge and its Philosophical Meaning

Educational program: Christian Philosophy

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

Abstract

Poti
2023

New Georgian University
Faculty of Humanities and Social Sciences

Scientific supervisor: **Tengiz Iremadze**
Doctor of Philosophy, Professor

The date of the dissertation will be updated at website: www.ngu.edu.ge

The defense of the dissertation will take place at the Faculty of Humanities and Social Sciences of New Georgian University, at a session of the Dissertation Committee.

The dissertation is available at the library of New Georgian University (Poti, Guria str. № 1).

Contents

Research Problem and its Actuality 20

The Aim of the Research 22

Research Objectives 22

Research Hypothesis 23

Review of Scientific Literature 24

Methodology 25

Description of PhD Research Findings 26

Scientific Novelty 27

Conclusion 27

Research Problem and its Actuality

Religion has always been an important part of social life and personal experience. Despite historical and geographical differences, every type of past or present society has beliefs that are associated with supernatural, spiritual, and transcendental phenomena; practices that contain the elements of scarifies, praying, and celebrations; places that raise the emotions of piety, sacredness, and mystique; and narratives that inform us about distant, important, and mystical stories. Historically speaking, religious beliefs and assumptions were creating the basis for an ideological system, defining collective citizenship, and orienting individuals into everyday reality. On the other hand, religion has always been the subject of philosophical interest. Actuality of any study devoted to the philosophy of religion is intimately linked to the effort to comprehend religion as a whole before assessing its veracity.

Due to various difficulties and complexities, it is not surprising that we have many contradictory philosophical theories that developed along the history of philosophy. A group of theories claim that religion has rational support and argue that it is a manifestation of truth. While another group of opposite theories takes a skeptical direction and claims that since we cannot justify any religious statement, we are obliged to confine it to the realm of ungrounded opinions. There are more radical approaches too, according to them, religion is an early stage of man's mental development, and its content has nothing to do with truth.

Furthermore, many modern thinkers believe that, along with the rational and scientific advances of humanity, religion automatically loses its function and that the rational development of man naturally causes the death of God and the end of religion. However, history showed the fallacy of the above-mentioned predictions. It is a matter of fact that religion still has a vital function and that religious beliefs still have an important place in the lives of different individuals and societies. It is clear that in the religious history of humanity, we are witnessing not only the decrease and disappearance of various religious beliefs and practices but also the conversion of irreligious communities.

In the modern world, different religious systems offer their customers the final truth and highest happiness, giving their followers moral

orientations and spiritual values. At the same time, some religious teachings promise not only earthly well-being but also a blissful afterlife. Nonetheless, the problem is how to relay on various religious teachings, as well as how well they reflect and describe reality. This latter question belongs to the realm of philosophy, which, by using rational methods, could and should give us orientation, show the accuracy of religious teachings, and hence clarify the value of religious search that aims to find truth and happiness in various spiritual systems. In other words, the philosophy of religion aims to comprehend and evaluate various religious beliefs and thus helps us to make an optimal and right decision.

Furthermore, it would not be exaggerated to say that, nowadays, philosophy of religion is a far more important field of inquiry than it was two or three centuries ago. Unstable religious identities of individuals, different confrontations inside and among groups of people, as well as various cultural and political conflicts that spring from religious disputes, are clearly visible in every corner of modern life. Research is determined by those problems and conditions. The examination of the epistemological elements and methodological procedures of religion enables us to comprehend the nature of humankind's religious experience and, hence, define its function in everyday life.

After modernity, philosophy has always been associated with freethinking, an endeavor that acknowledges only the authority of reason and obeys no political or dogmatic pressure. On the other hand, philosophers often misunderstood religion, and they did not fully comprehend the essence of religious teachings. The cause of this predicament is that many thinkers were oriented toward only the external and social dimensions of religion and thus ignored its vital core. The second problem with various philosophical theories is that they, as usual, simplify complex religious phenomena and then reduce various religious ideas to identical motifs. Unlike various reductional approaches, the Ph.D. research aims to identify those epistemological issues that are related to religious reasoning and to describe the processes by which man acquires and creates manifold religious knowledge systems.

The Aim of the Research

The present Ph.D. research is an inquiry into the philosophy of religion, and it aims to clarify the sources of religious experience and knowledge. More concretely, we are attempting to show how different religious ideas, conceptions, and dogmas are emerging and forming and how humans are creating and achieving a state of religious experience and knowledge. The above-mentioned problem incorporates a whole set of questions: what determines man's religiosity, natural tendencies, or process of socialization? From where did religious teachings emerge, and what function do they have in the lives of individuals and society as a whole? What is the place of religion as a system of beliefs and cults among other cultural activities? Is religion the one universal phenomenon that expresses itself in different forms and mediums, or are religions independent systems of beliefs and practices that only externally resemble each other?

At the same time, the research has another important aim. After clarifying the essence and the specifics of religious knowledge, we have to ask about its philosophical meaning. If we understand religion as the personal and social systems of practices and beliefs, which by themselves are a part of every past and modern society, the philosophy of religion should be defined as an attempt to comprehend and evaluate those practices and beliefs. In other words, philosophy analyzes, evaluates, and criticizes religious doctrines and raises a series of questions: how well does religion endure rational critique, and does it deserve the status of knowledge as such? Are religious doctrines correct, or do they have any connection with the truth? Is religion a mere product of human imagination, or does it reflect reality? Does religion express only emotional factors and collective beliefs or narrate about the eternal truth? Do various religious doctrines express truth, or are religious beliefs behind truth and falsity?

Research Objectives

From a philosophical point of view, religion might be understood as a contradictory or coherent system of practices and beliefs that makes statements about the universe and various events that are occurring inside it. The manifold literature that was created in the history of philosophy unfolds

different aspects of religion, and as usual, rational inquiry is determined by thematic orientation, which is picked up by a researcher. A part of philosophical works is concentrated on the moral aspect of religions, thus identifying the main function of religions with the system of regulations and restrictions, while other theorists are concentrated on the social aspect of religion and argue that the main motive of an individual's belief is a social adaptation and collective identity. Unlike politically and socially oriented research, other authors are concentrated on the metaphysical dimensions of religion and claim that the source of religion should be found in human nature and its inclinations, while another part of the authors attempts to show religion as supernatural knowledge. The Ph.D. project aims for a theoretical understanding of religious phenomena; more concretely we are willing to examine those epistemological issues and methodological procedures that are related to religious belief systems. Through such analysis, we can comprehend the epistemological content of religion and evaluate its correctness.

Research Hypothesis

According to the research hypotheses, religion is a complex and idealistic belief system that has some universalistic characters and, at the same time, takes its shape by realizing in particular cultures. In the first place, producing religious conceptions consists of the perception and understanding of reality in specific ways and the expression of those feelings and perceptions in various forms. The existence of reality is intriguing fact and such fact constantly compels us to search for the secrets that are hidden from the ordinary eye. Man as a creature who searches for meaning and happiness is a complex entity, and religions naturally reflect this complexity. In other words, religion is an integral part of humanity's mental and cultural evolution, which incorporates different and manifold systems of beliefs, practices, and assumptions. Religious experience and knowledge are organic and dynamic parts of human history and the lives of society and individuals, rather than a fixed and predetermined set of beliefs.

Review of Scientific Literature

Due to the variety and character of existing works, the review of scientific literature is divided into three parts, which include analysis, summaries, and grouping those classical and contemporary works that explore the same domain. The first part of the scientific works identifies religion with a system of false representations and considers rational and scientific conceptions as the right alternatives to religious doctrines of truth and happiness. According to the critics of religion, various religious beliefs are products of humans' emotions and imagination and give a distorted picture of reality. For them, the bigger problem is that religions give wrong moral values and false ethical ideas. From this kind of approach, we examine classical works such as Thomas Hobbes's *Leviathan,* Baruch Spinoza's *Theological-Political Treatise*, and Ludwig Feuerbach's *The Essence of Christianity,* as well as more contemporary works such as Richard Dawkins' *The God Delusion* and Pascal Boyer's *Religion Explained.*

Unlike this kind of critical strategy, another part of philosophers and scientists argues that religion, despite its stylistic character, unfolds the eternal and highest truth and thus brings us closer to the highest happiness. According to the above-mentioned literature, religion is a medium of truth, and along with science and philosophy, it informs us about the meaning and nature of reality as well as its creator. From this kind of approach, we examine such works and philosophical schools as Plato's and Aristotle's idealism, St. Augustin's and Thomas Aquinas's Christian theism, the double theory of truth that is offered by Maimonides and Averroes, and the process theism of Ian Barbour and John Polkinghorne.

The third part of scientific literature identifies religions with non-rational and intuitive knowledge that is a part of human nature and radically differs from rational and philosophical ways of knowing the world. Such works include Pseudo-Dionysius the Areopagite`s *Divine Names*, Blaise Pascal's *Pensées*, Friedrich Schleiermacher's *On Religion: Speeches to its Cultured Despisers*, Mircea Eliade's *The sacred and the profane*, Karen Armstrong's *The Case for God,* and other works.

Furthermore, the research consists of an examination of the various secondary literature from the same area. In particular, works such as Charles *Taliaferro's Contemporary Philosophy of Religion* and Keith Yandell's

Philosophy of Religion: A Contemporary Introduction; various collections of scholarly articles and anthologies, such as *A Companion to Philosophy of Religion* edited by Philip L. Quinn and Charles Taliaferro, and *The Oxford Handbook of Philosophy of Religion* edited by William J. Wainwright.

Various works that have been created throughout the history of philosophy unfold the important aspects and dimensions of religion. However, the weakness of the above-mentioned theories is that they often take a reductionistic direction and thus ignore the complex and manifold nature of religions, as well as different emotional, personal, spiritual, and sociological motives that are causing religious experience. Ph.D. work presents and criticizes two types of reductionism: disciplinary and cultural. The former attempts to explain religion by a single scientific discipline and method, such as evolutionary biology and psychology, while the latter type of reductionism is concentrated upon a concrete audience, generalizes a concert aspect of religion, and then presents it as the general nature of all religions.

Methodology

Considering the research problem and its aims, we are attempting to examine various religious traditions and the epistemological issues that are associated with them. Comparative and textual analysis are our starting points. Concretely, the research is focused on six religious traditions: Hinduism, Buddhism, Daoism, Judaism, Christianity, and Islam, and the following epistemological issues that constitute core elements of those religions: mythology, metaphysics, natural philosophy, morality, happiness, and the afterlife. We are especially oriented toward those methodological procedures that uncover the structure of religious knowledge. However, we are aware that not only distinct religions differ from each other but also that there are great differences among the same religious traditions. There is no such thing as Buddhism, Christianity, or Hinduism; as such, there are Christian, Buddhist, and Hindu religious traditions that offer manifold conceptions and free interpretations.

At the same time, we cannot escape the fact that every research concerned with more general aspects of religion rather than a concrete aspect of a concrete religion is selective and cannot fully reflect the manifold and complex content of religion. However, the complex and manifold nature of

religions should not interrupt our ability to identify shared elements of different traditions and identify factors that determine them. The research methodology is defined as a comparative analysis of sacred literature since sacred writings might be considered the best way to examine the nature of religions. Different religious traditions are based on different sacred writings, and various traditions offer different interpretations and readings of sacred texts. In this case, the research is concentrated on the following sacred texts: in Hinduism, we chose *Upanishads*, presenting philosophical-religious teachings of Hinduism. In Buddhism, we are concentrating on the following scriptures: *Buddhacaritam* and *Dhamapada*. In the case of Daoism, we picked up *Tao Te Ching.* From Judaism, we are focused on the religious sacred text *Torah* as well as the writings of the Old Testament prophets. In the case of Christianity, the research examines the writings of the both New and Old Testaments. In the case of Islam, the object of analysis is the *Quran*.

Description of PhD Research Findings

Based on the study of various religious traditions and sacred texts, the doctoral research demonstrates that the motivation for the origin of religion cannot be equated with solely one specific emotion or human ignorance, as we see in the works of critics of religion, nor with theoretical and rational speculations, as some proponents of the rationalization of religion suggest, nor with spiritual knowledge, as the thinkers in favor of the derationalization of religion present. Religions naturally reflect the problems and expectations, hopes and fears, experiences, and emotions of man. And in the process of religious reasoning, all types of processes, such as imagination, feelings, and logical clarification, are occurring parallel to or independently of each other.

According to the Ph.D. research, it would be better if we understood religions as related and, at the same time different idealistic systems of beliefs and assumptions that spring out of man's reaction against reality and aim to explain the contexts, causes, and meaning of human existence. From a universal point of view, many identical issues and themes might be explained on the basis of human nature. On the other hand, general human religious inclinators realize only inside concrete geographical regions and historical epochs; thus, they create manifold and independent religious traditions that are determined by different sets of motives and emotions, experiences, and

conceptions. According to the research, we should substitute disciplinary and cultural reductionism with interdisciplinary and intercultural studies. The latter strategy avoids philosophical and scientific generalization, and at the same, time demonstrates that beyond cultural and historical differences, there are many similarities that might be expanded by referring to universal human nature and its fate on earth. In other words, the novelty of the interdisciplinary and intercultural model is that it shows universal resembles and complex and manifolds the character of religions by examining different traditions.

Scientific Novelty

The review of scientific literature and the examination of various epistemological issues and methodological procedures of different religious traditions show that religions are different and related to idealistic systems of beliefs and assumptions. The general religious search is determined by the practical and theoretical needs and interests of humanity and is realized in different geographical and cultural contexts. Despite the fact that their religions have some universal resemblance, there is no such thing as a religion. Ph.D. research reevaluates old approaches and unfolds the universal and particular nature of religion. The key to man's religiosity might be found in its mental diversity, interests, creativity, cultural particularity, individuality, and historicity. According to the Ph.D. research, it is important to realize the complex, manifold, and dynamic nature of religion and estimate its value and function in human life. Religious experience is the spiritual heritage of mankind, and it, like other cultural artifacts, needs relevant care and preservation. Everything this is our duty, whether we believe in religious doctrines or not we are obliged to adequately understand the spiritual nature of humanity and those historical processes that defined modern religious and nonreligious identity.

Conclusion

The concluding part of the research argues that religion is not only a part of the spiritual heritage of humankind but also an organic part of the lives of modern societies and individuals. Today, the fact of existence is as

intriguing mystery as it has always been; nowadays, humans are searching for answers as they were searching centuries ago. Contemporary man wants happiness as much as our ancestors used to. Different knowledge systems integrate various questions and offer versions of truth and happiness. Religion is a system of knowledge that has no objective criteria for demonstrating its truth as empirical evidence in science or logical necessities in philosophy have. Religious ideas are attractive only to certain kinds of people, and for proper comprehension, they need proper experience and engagement. However, attractiveness and truth are two different things. We as spiritual creatures can believe in literally everything that might be perceived by our mind and comprehended by our imaginations, but as rational creatures, we will never be fully satisfied and certain. The best thing we can do is to understand religion as a part of human experience and culture, and then try to taste different religious ideas without any ideologization or conflicts.